

ტყიბულის ჯართსაყრელზე რკინის და მოსაწევის სუნი დგას. სიმარტოვით  
სავსე გეტოში ძმაკაცები უბორბლებო, უფანჯრებო, ძველისძველ „ვოლგაში“  
მარიხუანას ვზრდით.

სანამ მეშახტეების სახლში დაბრუნებამდე მათი ცოლები გაუბედავი შიშით  
იყურებიან გზისკენ, ბიჭები ორლობეში გამომწყვდეულ ავადმყოფ ღამეებს  
გავურბივართ. მშვიდ და ბობოქარ გაზაფხულზე, კიდეც უკეთეს ზაფხულზე და  
საერთოდაც სხვანაირ ცხოვრებაზე ფიქრსაც ვბედავთ.

ჯართსაყრელის გარდა კიდეც ერთი ამოჩემებული ადგილი გვაქვს და  
ღამდამობით ავდივართ. ასე ვიკმაყოფილებთ გადაკარგვის სურვილს იმ სახლებიდან,  
რომლებშიც შეიძლება ერთ დღესაც აღარ დაბრუნდნენ ჩვენი მამები.

ღამე გუკას ჯინსის ფერია. ფერდობზე ავდივართ. გუკა მძიმე ტომარას  
მოათრევს. აღელვებული ჩანს, ოდნავ მძიმედ სუნთქავს. დაგეხმარები-მეთქი.

არაფერს მპასუხობს. ვერ ვხვდები ტომარაში რა უნდა იყოს. რა მოგაქვს -მეთქი? -

ვეკითხები. ცოდვებიო - მპასუხობს. ფერდობიდან ვარსკვლავურ მტვერში გახვეული  
სოფლის ირიბი ნათება მოჩანს. პერიოდულად ძაღლები ეხმიანებიან ერთმანეთს.

ფერდობზე ასვლისთანავე გუკა ტომარას იშორებს; იქვე დებს, ხესთან. ხელით  
მანიშნებს, რომ მოსაწევი შევაკეთო. ჩანთიდან გამხმარ მარიხუანას ვიღებ , ქალაღში  
ვახვევ , მიწაზე გულაღმა წამოწოლილ გუკას ვაწვდი, ის უკიდებს და მაღიანად ქაჩავს.

მერე მე მაწვდის. საკუთარ თითებს ვუყურებ და ისევ მეფიქრება იმაზე, რომ ჩემი  
ხელები არ გავს მამაჩემის ხელებს, რომ მარტო ვუშვებ შახტაში და დანაშაულის

განცდა მესხმის თავს. ვცდილობ დავუსხლტე. ამ ტომარას რას უშვრები?-ვეკითხები გუკას. მაგას გამთენიისას მივხედავო,- მპასუხობს. ზანტ სიმსუბუქეს ვედარ ვერევი, თავს ზურგჩანთაზე ვდებ, ცას ღრუბელი ამღვრევს. მე-მარიხუნა.

თვალს ვახელ, გამთენიის ხანია. გუკა მიწას თხრის. რას აკეთებ მეთქი?-

ვეკითხები . უსიტყვოდ მიყურებს ,თითქოს ბრაზდება ჩემს შეკითხვაზე, ნიჩაბს უფრო და უფრო სწრაფად და ძლიერად ურტყამს მიწას. რა ჯანდაბა გჭირს არ მეტყვი მეთქი? - ისევ ვეკითხები . ჩერდება, სივრცეში იყურება. ხმას არ იღებს. უკვე მეშინია მისი საქციელის. ნაბიჯს ვდგამ,რომ მივუახლოვდე და სივრცეს თვალს არ აშორებს ისე იწყებს ლაპარაკს; „მეზიზღება ბიჭო მამაჩემი და საკუთარი თავიც მძულს ამის გამო. მთვრალი მოვიდა გუშინ. სასმელის პოვნას სამუშაო გეძებნა ჯობდაო-დედამ უთხრა. ეგ როგორ გამიბედო, გვაგინა ორივეს, დაწყნარდი-მეთქი-მშვიდად ვუთხარი. ამაზე სულ გამხეცდა,- შენ ნუ ერევიო. დედაჩემისკენ წავიდა გასარტყმელად, მთვრალი იყო და ადვილად დავაკავე. მაინც დამიძვრა და ჩვენ რომ ვერაფერი გვიქნა, ძაღლს მივარდა მაგის მანიაკი დედაც“.... - თვალეზიზღებული, ბრაზისგან ძარღვებდაბერილი და აკანკალებული გუკა ნერვიულად მიდის ტომარასთან, აპირქვავებს და ჩემ წინ მისი ძაღლის ლეში ვარდება. ყელგამოჭრილი ძაღლი. განზე ვბტები და ცხვირზე ხელს ვიფარებ ინსტინქტიურად. მერე ძალაგამოცლილი მიწაზე ეშვება, ხეს ეყრდნობა და ლაპარაკს აგრძელებს შედარებით მშვიდად; „სახლს რომ არ გავცლოდი და აქ არ წამოვსულიყავით,შეიძლებოდა მომეკლა. დედა ბიძაჩემთან დავტოვე. რა მოვუხერხო არ ვიცი. დედაჩემიც შიშით

იყურება ჭიშკრისკენ, მოდის თუ არა მისი ქმარი. ოღონდ, იმას ურჩევნია არ მოდიოდეს. მაგას ცხოვრება არ ჰქვია, ბიჭო“. უსიტყვოდ ვჯდები გუკას გვერდით, კარგა ხნის მერე რის თქმასაც ვახერხებ, ერთადერთი ესაა; წამო, „ვოლგას“ დავხედოთთქო. იქამდე 40 წუთის სავალი გზაა და იქნებ გზაში მოვუყარო სიტყვებს თავი.

ჯართსაყრელს ვუახლოვდებით, რაღაც ხმაურია, როგორც ჩანს, ტერიტორიის გასუფთავება დაუწყიათ. გული მომენტალურად გვიჩქარდება, თვალი ამწეკრანისკენ გაგვირბის და ვხედავთ მასზე დაკიდებულ ჩვენს „ვოლგას“, მოსაწევით და ათასი ოცნებით სავსეს. გუკა ემოციისგან დაცლილი სახით უყურებს და ამბობს; „მშვიდი და ბობოქარი გაზაფხული არა ჩემი ყლე!“ .

ჰაერში რკინის სუნია. დილა ავი ძაღლისფერია.